პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ავანგარდი

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომისა და
მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორდღიური ორგანო
გამოცემის 31 წელი

АВАНГАРДИ Орган Цхакаевского райкома КП Грузии и Райсовета депутатов трудящихся

№ 20 (2.414) ოთხშაბათი, 15 თებერვალი, 1956 წ. ფ. 15 კ.

## დღეს გაიხსნა სკკპ XX ყრილობა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას— ყველა ჩვენი გამარჯვების სულის ჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

## სოფლის ახალგაზრდობის საბრძოლო ამოცანა

Საბჭოთა საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, უდიდესი აღმავლობით შეეგებნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობას. ყველგან—ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ამოცანებს სახავენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე. ამ დიადი ამოცანების განხორციელებაში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ სოფლის ახალგაზრდებმა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა ამ დღეებში მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდა კოლმეურნესა და მექანიზატორს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს — მაქსიმალურად გამოიყენონ წარმოების ყველა რეზერვი, ახალი ენერგიით ჩაებან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამ მოწოდებას ფართოდ, უნდა გამოეხმაუროს ცხაკაიას რაიონის სოფლის ახალგაზრდობა.

უნდა ითქვას, რომ გასულ წელს რაიონის ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რაიონის სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. ბევრმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა რგოლმა, კომკავშირელმა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდამ თავდადებული შრომით შესანიშნავ წარმატებას მიაღწია საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და მარცვლეულის, ჩაის, ყურძნის და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. რაიონში გვყავს სოფლის მეურნეობის მრავალი ახალგაზრდა ნოვატორი, რომელთაც არა მარტო რაიონში, არამედ მთელს რესპუბლიკაში იცნობენ.

მაგრამ რაიონის სოფლის მეურნეობაში წარმატებანი მეტი იქნებოდა, რომ ყველა კომკავშირული ორგანიზაცია, თვითეული ახალგაზრდა სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს ამ მეტად დიდმნიშვნელოვან საქმეს. გასულ წელს ცუდად იმუშავეს ლუძაძის სტალინის, ნოსირის სტალინის, მენჯის მარქსის და ნაქალაქევის „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. სამწუხაროდ, მომავალი საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაშიც ნაკლებად მონაწილეობენ რაიონის მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

საჭიროა ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება 1956 წლის მეექვსე ხუთწლედის პირველი წლისათვის სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველა ახალგაზრდას ფართოდ უნდა გააცნოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვა, უზრუნველვყოთ მათ მიერ კონკრეტულ ვალდებულებათა აღება და დავეხმაროთ მათ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში.

საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის ბრძოლაში კომკავშირულ ორგანიზაციებს ქმედითად უნდა დაეხმარონ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და კომკავშირის რაიკომი.

კომკავშირელებო და ახალგაზრდობავ! უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი მკვეთრი ამაღლებისათვის.

### ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ტ. კალჩენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ტ. კალჩენკოს დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურებისათვის ამხ. ნიკიფორე ტიმოთეს-ძე კალჩენკო დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 8 თებერვალი.

## გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლისათვის

### ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობები ეხმაურებიან წილკნელთა მიმართვას

★ ★ ★

### მეტი სიმინდისათვის

საბჭოთა კავშირის კომპარტიის მე-20 ყრილობის მიმდინარეობის დღეებში ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეები აძლიერებენ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ტემპს. აქ ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვის პასუხად.

მცხეთელთა მიმართვის პასუხად აღებულ იქნა ვალდებულებანი, კერძოდ სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

კოლმეურნეებმა ივალდებულეს წელს აგროტექნიკური წესების სრული შესაბამისობით დაამუშაონ 265 ჰექტარი სიმინდის ნათესი, 160 ჰექტარის თვითეული ჰექტარიდან მიიღონ 30 ცენტნერი სიმინდი, 105 ჰექტარის თვითეული ჰექტარიდან კი—20 ცენტნერი.

მეორე ბრიგადის პირველი რგოლის მერგოლეურმა ა. გიგიბერიამ, გაეცნო რა მცხეთელთა მიმართვას, განაცხადა:—ჩემს რგოლს დასამუშავებლად მიჩენილი აქვს 10 ჰექტარი სიმინდის ფართობი. გვაქვს მაღალხარისხოვანი თესლი. ნათესების სანიმუშოდ დამუშავებით მივაღწევთ თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ 50 ცენტნერი სიმინდის მიღებას.

გადიდებული ვალდებულება აიღო მეორე ბრიგადის ხელმძღვანელმა ე. ქვადუამ. მან იკისრა 30 ჰექტარის თვითეული ჰექტარიდან 35 ცენტნერი სიმინდის მიღება.

კოლმეურნეობაში ამჟამად გაძლიერდა მუშაობა. შეაგროვეს ორასი ტონა ნაკელი, მზრალად მოხნული აქვთ 70 ჰექტარზე მეტი ფართობი.

ძველსენაკელები იბრძვიან აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

### შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა

ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესწავლისას კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ სიმინდის მოსავლიანობის გასადიდებლად.

ეკელი კოლმეურნეები წილკნელ კოლმეურნეთა მაგალითისამებრ ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და კისრულობენ ახალ ვალდებულებებს.

პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. პ. ცხვიტავამ წილკნელთა პატრიოტული თაოსნობის გაცნობისას განაცხადა:—წელს სანიმუშოდ დავამუშავებთ სიმინდის ნათეს ფართობებს. აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ზუსტად გატარებით მივაღწევ გეგმის გადაჭარბებით თვითეული ჰექტარიდან მოვიწიო 3 ცენტნერი სიმინდი.

მეორე ბრიგადის მერგოლეურმა მოწინავე კოლმეურნემ ლ. ნიჩუამ ვალდებულება აიღო მოსავლელად მიჩენილი ფართობის თვითეული ჰექტარიდან 40 ცენტნერი სიმინდი მოიწიოს.

ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს კოლმეურნეებმა ჯვებე და ვაჟა ცხვიტავებმა, შ. ჩაჩიბაიამ, ე. ცხვიტავამ და სხვებმა.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილი გამოფენები და ლექციები

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ლადო კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილი გამოფენა. სტენდებზეა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შრომები, პარტიის გადაწყვეტილებები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე. გამოფენის ცალკეული განყოფილებებით მნახველნი ეცნობიან თბილისის მრეწველობამ მეხუთე ხუთწლედში და რა ამოცანებია დასახული მეექვსე ხუთწლედში. აქვეა წარმოდგენილი საწარმოთა მოწინავე ადამიანების—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრების მონაწილეების ფოტოსურათები.

დიდი გამოფენა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის შესახვედრად" გაიხსნა აგრეთვე თბილისის კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასა და ქალაქის მთელ რიგ სხვა კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პარტიის ყრილობისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელიც მოეწყო ოფიცრის სახლში, ყურადღებას იპყრობს სსრ კავშირის მრეწველობის დარგების ელექტროფიცირებული რუკა. გამოფენის მასალები მოგვითხრობს, თუ როგორ მატულობს მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება მეექვსე ხუთწლედში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიურო და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ხაწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივების პროექტზე. (საქინფორმი).




ტრაქტორების, მარცვლეულის კომბაინების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების მოცულობა 1960 წლისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ მე-20 ყრილობის დირექტივების პროექტის მიხედვით. (საკდესის ფოტოქრონიკა)